

საქართველოს კანონი

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N45, 21.12.2009, მუხ. 320) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. მე-9 მუხლის დაემატოს მე-3 და მე-4 პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„3. აღმასრულებელი დირექტორი არა უგვიანეს ყოველი წლის 1 მაისისა საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საქსტატის გასული წლის საქმიანობის ანგარიშს. ყოველწლიური საქმიანობის ანგარიში ქვეყნდება საქსტატის ვებ-გვერდზე.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიში უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) წლის განმავლობაში სტატისტიკის სისტემაში განხორციელებული საქმიანობის შესახებ;

ბ) საქსტატის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი